# №7-წიგნი მეშვიდე.

## სიტყუა აბრაამზედ.

« ღმერთმან გამოსცადა აბრაამ და რქუა მას: მოიყვანე ძე შენი საყვარელი, რომელი შეიყვარე ისააკი და წარვედ ქვეყანასა და შესწირე იგი მუნ მსხვერპლად ერთსა ზედა მთათაგანსა, რომელსა გრქვა შენ.
(შექ. 22, 1, 2).

წარსულს კვირას საყვარელნო ძმანო, თქუენ მოკლედ მოისმინეთ სიტყვა აბრაამზედ, რომელიც ღმერთმან აღმოირჩია და დაადგინა მამად მრავალთა ტომთა. აწ მე სიტყვასა ამას შინა მსურს გესაუბროთ თქუენ მის შეურყეველ და მტკიცე სარწმუნოებასა ზედა, რომელიც მან დაამტკიცა მით რომ არ დაიშურა ძე თჳსი მხოლოდ-შობილი და საყვარელი ისააკი მსხვერპლად შესაწირველად; ვითარცა უბძანა მას ღმერთმან.

საყვარელნო ძმანო! შეწირვა შვილისა მსხვერპლად არის თჳთ უდიდესი ნაყოფი ყოველთა საქმეთა აბრაამის სარწმუნოებისათა. იგი არს ჭეშმარიტი გამოცდა. იგი არს უმაღლესი მოქმედება კაცობრივის ნებისა.

„ღ მ ე რ თ მ ა ნ გ ა მ ო ს ც ა დ ა ა ბ რ ა ა მ ი,“ იტყვის წინასწარმეტყველი მოსე. გარნა აბრაამის სარწმუნოებაცა საჭიროებდა გამოცდასა? ანუ როდის მოხდა ესა? მაშინ, ოდესაც აბრაამმა გამოაჩინა ეგოდენი გამოცდილება თავის სარწმუნოებისა ღმერთთან, მაშინ ოდესცა, სიტყვისა მებრ უფლისა, დაუტევა მამული თჳსი და სახლი თჳსი, რათამცა წარსრულ-იყო შორს, უცხო ქუეყანაში, მაშინ ოდესაც განატარა მან იმოდენი წელიწადი უცხოებაში ისრეთს ქუეყანაში, რომელიცა ჰქონდა მას აღთქმული დასამკვიდრებელად; მაშინ ოდესაც ღმერთმან დაადგინა იგი მამად მრავალთა თესლთა, მაშინ ოდესაც მან გამოსცადა მრავალი მწუხარება სახლობასა შინა თჳსს.

ღმერთი კჳალად აძლევს მას გამოცდასა, გარნა ვითარსა გამოცდასა, გამოცდასა თჳთ უკანასკნელსა.

განვიხილოთ, ძმანო, ეს საღმრთო მოთხრობა გამოცდისათჳს აბრაამისა, განვმარტოთ, შეძლებისა მებრ, ჭაზრი მიცემულის ბრძანებისა ღჳთისა-მიერ აბრაამისადმი, განვიხილოთ, თუ როგორ მიიღო აბრაამმან ბრძანება ესე: „ჰრქჳა ღმერთმან აბრაამს: მოიყვანე ძე შენი საყვარელი, რომელი შეიყვარე ისააკი და წარვედ ქჳეყანასა მაღალსა და შესწირე იგი მუნ მსხვერპლად ერთსა ზედა მთათაგანსა, რომელსა გრქვა შენ." (შე, ქ. 22). საყვარელნო ძმანო! რაჲსათჳს ეძლევა აბრაამს ესრეთი საშინელი ბრძანება? არა აქვს მას ნაჩვენები დანიშნულობა, თუ რისათჳს უნდა შესწიროს შვილი მსხვერპლად. როგორ უნდა შევათანხმოთ აწინდელი ესე ბრძანება, მიცემული ღჳთისა-მიერ აბრაამისად-მი წინანდელ აღთქმებთან? მერმე ბრძანება ესე არს გამოხატუ-ლი ისრეთთა სიტყვათა შინა, რომელთაცა აქვსთ განგები ძა-ლი: „მოიყვანე ძე შენი საყვარელი მხოლოდ შო-ბილი, რომელი შეიყვარე". ( შექმ. 22, 1. )

ოხ, ძმანო, ვითარი მწუხარებითი განვლენა აქჳს ამას გულსა ზედა კაცისასა. ამისთჳს მშვენიერად იტყვის წმინდა ეფრემ ასური: „ხედავ თუ როგორ აღაგზნებს მამის ბუნებაში ალსა ცეცხლისასა, როგორ აღძრავს მამობრივსა სიყვარულსა ძისადმი, უწოდებს რა მას მხოლოდშობილად და შეყვარებულად"?

ჭეშმარიტად, ძმანო ჩემნო, მოთხრობა ესე ითხოვს ჩჳენის მხრით ყურადღებასა.

საშინელ და განსაკვირველ არს ესრეთი სრული დამორჩილება აბრაამისა. მას არა უთქვამს რა ესრეთი: ჰი, ღმერთო ჩემო! რის-თჳს ჩამაგდე ესრეთსა საშინელსა გინსაცდელსა შინა, მისთვის ინე-ბე ჩემი მამად ჭყოფნა, რათა უეცრად შევიქმნე შვილის მკვლელი?

მისთჳს მომეტი გემო მამობრივის სიყვარულისა, რომ ჩემმიერ უჩვენო მაგალითი ქჳ̂ეყანასა? შენ აღმითქვი განმრავლება ტომისა და კი არ მაღირსე ნახვა შვილისა.

არა, ძმანო, კიდევ განმეორებით გეტყვით, რომ აბრაამს ესრეთი არა უთქვამს რა, მას არა უკითხავს ღჳ̂თისათჳს, თუ რისათვის უნდა შესწიროს შვილი თჳსი მსხვერპლად, ანუ სად და რა ადგილს, არამედ უბრძანა თუ არა ღმერთმან, იგი სრულიად დაემორჩილა ღჳ̂თის ბრძანებასა და დაუყოვნებლივ აღასრულა იგი, ვითარცა სჩანს სიტყვისაგან წინასწარმეტყველისა მოსესა: „ხოლო, აღსდგა აბრაამ გათიად და დახსნა კარაულსა თვისსა და წარიყვანა თვისთანა ორნი მონანი და ისააკი ძე თვისი, და დაკოდა შეშა მსხვერპლისათვის და აღსდგა და ვიდოდა, და მოვიდ-ადგილსა მას, რომელსაცა რქჳ̂ა ღმერთმან“. ( შემ.ქ 22. 3. )

აბრაამ ვერ მიხვდებოდა ამგჳ̂არსა ბრძანებასა ღჳ̂თისასა; მაგრამ უბრძანა ღმერთმან და ესე საკმარისი იყო მისთჳს. ის, ასრე ვსთქვათ ხელ დაკრეფილი, სხჳ̂ა და სხჳ̂ა ჭკაზრების მოუფიქრებლად მიდის იქ, სადაცა აქვს ნაბრძანები, ასრულებს ისრე, როგორც უბრძანა მას ღმერთმან.

ღმერთი, ძმანო ჩემნო, არასოდეს არ შესცდება თავის მოქმედებაში. მას უყვარს თავის ქმნულება. აბრაამი დარწმუნებული იყო თავის შემოქმედის სახიერებასა, სიბრძნესა და ყოვლად-შემძლებელობასა ზედა, დარწმუნებული იყო, რომ ბრძანება ღჳ̂თისა არ იქმნებოდა უსარგებლო მისთჳს, და ამისთჳს არა რაჲმე შეარყია იგი, არამედ სრულიად დაემორჩილა ბრძანებასა ღჳ̂თისასა.

აი, საყვარელნო ძმანო, როგორი უნდა იყოს სარწმუნოება. ჭეშმარიტი სარწმუნოება ითხოვს მას, რომელ ჩჳ̂ენ უნდა მივიღოთ უეჭვნეულოდ ყოველივე ის, რასაც გვაუწყებს ჩვენ სიტყვა ღჳ̂თისა, მისთჳს მხოლოდ, რომ იგი არს სიტყუა ღჳ̂თისა, რომელიც გვა-

უწყებს ყოველსავე კეთილსა, და არა სიტყვა უბრალო კაცისა, რომლის სიტყვები ხშირად იქმნებიან უსაფუძვლონი.

ეხლა, ძმანო, მივაქციოთ ყურადღება მოთხრობასა აბრაამის მსხვერპლის შეწირვისასა და ჰაზრით დავაყენოთ თავი ჩუ̂ენი იმ მდგომარეობასა შინა, რომელ მდგომარეობაშიც აბრაამმან მაიღო ღუ̂თის ბრძანება მსხვერპლად შეწირვასა ზედა მისა თჳსისა ისააკისა.

ესე გარემოებანი იყვნენ ისრეთნი, რომელთაც შეეძლოთ შეეექნებინათ მსხვერპლის შეწირვა. ბრძანება უნდა აღსრულებულ იყო არა მაშინვე მიიღო თუ არა ღუ̂თისაგან, არა მახლობელ ადგილს, არამედ უცნობო ადგილსა, უნდა ეხმარა სამი დღე მგზავრობასა შინა, რათა მისრულიყო იმ ადგილს, რომელსაც უჩვენებდა თჳთ ღმერთი და მუნ შეეწირა შვილი თჳსი.
განმავალობასა შინა სამის დღისასა მწუხარე მშობლის გულს თვალწინ ედო ჰაზრი, რათა დაეკლა ხელითა თჳსითა ძე თჳსი მხოლოდშობილი და საყვარელი. განმავალობასა შინა სამის დღის მგზავრობისასა ჯერ იყო ენახა მახლობლად მისა ძე თვისი, რომელსაც მოელოდა სიკუ̂დილი, და მასთან მუდამ მოელოდა მისგან კითხვასა ამ საიდუმლო საქმისათჳს, რომლის გამოჩენის ნება არა ჰქონდა, და ბოლოს მიეცა პასუხი თავის შვილის კითხვაზე, რომელიც იყო აბრაამისათჳს, ვითარცა მამისათვის სამწუხარო: „მამაო აჰა ცეცხლი და შეშა, სადა არს ცხოვარი მსხვერპლისა.“ ( შექ. 22. 7. )

ვკითხოთ ჩვენს თავს, საყვარელნო ძმანო, ჰქონდა თუ არა რაჲმე წინამოსწავება მსხვერპლის შეწირვასა აბრაამისასა?

ჭეშმარიტად ჰქონდა წანამოსწავება, წინამოსწავება ცხადი და ჭეშმარიტი, რომელიც უნდა აღსრულებულ იყო თჳთ უფალსა და მაცხოვარსა ჩუ̂ენსა იესო ქრისტესა ზედა.

მოთხრობა ისააკის მსხვერპლად შეწირვისა ახალ აღთქმაში იწოდების იგავად მკუ̂დრეთით აღდგომისა.(ებრ. 11. 19.)

სიკუ̂დილი და აღდგომა იესო ქრისტესი არის თჳთ მახლობე-

ლი და ნამდვილი ამხსნელი ამა იგავისა.

როგორათაც აბრაამმა სიყვარულისათვის ღუთისა შესწირა მე თჳსი მხოლოდშობილი, ეგრეთვე ყოვლადსახიერმან და მოწყალე-მან ღმერთმან სიყვარულისათვის კაცთა ნათესავისა, არა ჰრიდა მე თჳსი მხოლოდშობილი, ვითარცა იტყვის მოციქული პავლე: რომელ-მან იგი ძესა თვისსა არა ჰრიდა ჩვენ ყოველ-თათვის მისცა იგი, ვითარ უკვე არამითურთ ყო-ველივე მოგვანიჭოს ჩვენ? (რომ. 8. 32.)

ვითარცა ისაკმა დაუტევა მოსამსახურენი და მხოლოდ ერთი ავიდა მამასთან მთასაზედა ეგრეთვე, იესო ქრისტე, დატევებული მოწაფეთაგან, მხოლოდ ერთი აღვიდა მთასა, რათამცა ერთ-სა მხოლოდ მას დაეთრგუნვა საწნეხელი. ვითარცა ისააკსაზედა დაიდვა შეშა, ხოლო შემდეგ თჳთ ისააკი დაიდო შეშასა ზედა, ეგრეთვე იესო ქრისტემ წარიღო ჯვარი მხარსა-ზედა, ხოლო შემდეგ თვით ჯვარსა ზედა იყო დამოკიდებული.

ვითარცა ისააკი დაემორჩილა და არ გაუხდა წინააღმდეგ სიკუ-დილსა თჳსსა, ეგრეთვე იესო ქრისტემ დაიმდაბლა თავი თვისი და იქმნა მორჩილი ვიდრე სიკვდილად მდე სიკვდილითა მითჯვარისათა, სიტყვისა მებრ პავლე მოციქულისა.

მსხვერპლი ისააკისა გადმოავლენს უხვსა კურთხევასა ღუთი-სასა ყოველსა ზედა ტომსა აბრაამისასა, ხოლო მსხვერპლი იესო ქრი-სტესი ურიცხვსა კურთხევასა ყოველსა ზედა ეკკლესიასა, ყოველსა ქუეყანასა და ყოველთა კაცთა ნათესავთა ზედა.

აი, ძმანო, ვითარი შეურყეველი, ჭეშმარიტი და მტკიცე სარ-წმუნოება და სიყვარული ჰქონდა აბრაამსა ღმერთზედ, რომელ არა ჰრიდა მე თჳსი საყვარელი მისთჳს და შესწირა მსხვერპლად, რო-მელსაც ჰქონდა დიდი წინადმოსწავება.

აბრაამმან აღასრულა ნება ღუთისა და კიდევაც მიიღო ენით გამოუთქმელი კურთხევა ესრეთის მორჩილებისათჳს, ვითარცა იტ-

ყვის წინასწარმეტყველი მოსე: თავსა ჩემსა ვფუცავ, რქვა ღმერთმან აბრაამს, ვინაჲდგან ჰყავ სიტყვა ესე და არა ჰრიდე ძესა შენსა საყვარელსა ჩემთჳს, კურთხევით გაკურთხო შენ, და განმრავლებით განვამრავლო ნათესავი შენი, ვითარცა ვარსკვლავნი ცისანი, და ვითარცა ქვიშა ზღვის კიდისა და დაიმკვიდროს ნათესავმან შენმან ქალაქები მტერთა და იკურთხეოდიან ნათესავისა შენისა მიმართ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი, ამისათჳს რამეთუ ისმინე ხმისა ჩემისა (შექმ. 22. 16, 17.)

ძმანო! სხუას რაღას გვაუწყებს ჩუენ სამღთო წერილი ამა მოთხრობისაგან თუ არა მას, რომ დიდი მწუხარება და განსაცდელი უნდა დავითმინოთ, რათა ვეღირსოთ შესლვასა სასუფეველსა შინა ცათასა, ესრეთ იტყვის წმინდა მოციქული: ვითარმედ მრავალითა ჭირითა ჯერ არს ჩუენდა შესლვად სასუფეველსა ღუთისასა. (საქმე წდ. მოციქ. 14, 22)

სარწმუნოება მუდამ ითხოვს განწმედასა განსაცდელითა, ვითარცა იტყვის ამისთჳს მოციქული პეტრე: რათა გამოცდილება იგი სარწმუნოებისა თქუენისა, უპატიოსნეს უფროს ოქროჲსა მის წარწყმედისა, ცეცხლისმიერ გამოცდილისა, იპოვოს საქებელად და დიდებად და პატივად გამოჩინებასა იესო ქრისტესსა. (1. პეტ. 1, 7.) ხოლო ოდეს შთავარდებით ჩვენ ვითარსამე განსაცდელსა შინა სიხარულით უნდა მივიღოთ იგი: ყოველივე სიხარულად შერაცხეთ ძმანო ჩემნო, იტყვის მოციქული იაკობ, რაჟამს განსაცდელსა შესცჳვეთ პირად-პირადსა. (იაკობ. 1. 2.) და მასთან კიდევაც უნდა ვიქადოდეთ მწუხარებითა, სიტყჳსამებრ პავლე მოციქულისა: ვიქადითცა ჭირთა შინა, უწყით რამეთუ ჭირი მოთმინე-

ბასა შეიქმს, ხოლო მოთმინება გამოცდილებასა, გამოცდილება სასოებასა. ხოლო სასოებამან არა არცხვინის, რამეთუ სიყვარული ღ̂ჳთისა განფენლ-არს გულთა შინა ჩვენთა სულითა წმინდითა, რომელი იგი მოცემულ არს ჩვენდა. (რომ. 5, 3.)

რომელთაც გამოსცადეს, ძმანო, მსგავსად აბრაამისა განსაცდელი, შეადარონ თავიანთი განსაცდელი იმის განსაცდელთან, თავიანთი სარწმუნოება იმის სარწმუნოებასთან, და უკეთუმცა დაინახონ, რომელ განსაცდელი იმათი ადვილია, ვიდრე განსაცდელი აბრაამისა, სარწმუნოება იმათი არის სუსტი აბრაამის სარწმუნოებასთან, მაშინ მიაქციონ მათ თავიანთი გული და გონება იმა ყოვლად-შემძლებელსა ძალსა, რომლითა აბრაამმა შესძლო დათმენა ესრეთის საშინლის განსაცდელისა.

ვეცადნეთ, საყვარელნო ძმანო, ჩ̂ჳტ̃ნცა რათა გვექმნეს მტკიცე და შეურყეველი სარწმუნოება, ჩვენც ნურას დავზოგავთ ღ̂ჳთისათვის, როგორც არა დაზოგა რა აბრაამან, დაუტევოთ ყოველივე ქ̂ჳტ̃ნიური ზრუნვა, რადგანაც უწყით, რომელ ამა ქ̂ჳტ̃ნიერი ყოველივე ამაო არს.

ვინ იყო, ძმანო, სოლომონ ბრძენისთანა სხ̂ჳა, ანუ სიბრძნით, ანუ სიმდიდრით, მაგრამ გამოსცადა რა ყოველივე ქ̂ჳტ̃ნიური სიტკბოება სთქვა: ამაო ამაოთა, ყოველივე ამაო არს. ამისთჳს მივანდოთ თავი ჩ̂ჳტ̃ნი მხოლოდ ერთსა კაცთმოყვარესა ღმერთსა, რომელსაზედა დამოკიდებულარს ყოველივე ცხოვრება ჩვენი, ვიქმნეთ აღმასრულებელი ყოვლისა მის, რასაც გვიბრძანებს ყოვლად-მოწყალე და სახიერი ღმერთი, რათამცა ჩ̂ჳტ̃ნცა ღირს ვიქმნეთ ღ̂ჳთისაგან კურთხევასა და გვეღირსოს სმენა მისგან დღესად მას უკანასკნელსა სახარულევანი და სანატრელი ხმა ესე: მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო ჲ დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთჳს სასუფეველი დასაბამიდგან სოფლისა. (მათ. 25, 3) ამინ.

იონა გაწერელია.

სჯულის კანონისაგან აღმოწერილობანი.
შვილად სახელის-დებისათჳს.
(განგრძელება)

ზოგნი აღიყვანნენ შვილსა სხვისასა და შვილად თვისად დაიწესე-ბენ ეკკლესიურითა ლოცვითა და განგებითა. ამისცა არს ბრძანება ჰსჯულისაგან თუ რაოდენსა თავსა შინა ჯერ არს მეუღლეობა და რაოდენსა შინა დაიყენების. შვილად სახელისდებასა ჰყოფენ ვიეთ-ნიმე, რომელთაცა არა ჰყავთ შვილნი ძ̃ უშვილო არიან და ბერწ, და ზოგთ ვიეთთამე ქშვისთ და მოუკვდებისთ, და დაშთებიან უშვილოდ, და საწყალობელნი იგი მშობელნი აღიყვანნენ შვილსა სხჳსათსა და შვილად თჳსად დააწესებენ, და იქმნებიან ესე ვითარნი შვილნი ვითარ-ცა ხორციელად შობილნი. ამათ ნათესაობათაცა შორის და თაო-ბათაცა შინა ეგრეთვე აღირაცხვიან და მემკვიდრეობასაცა მგზავსად მიიღებენ ყოვლითურთ.

ბრძანებს ჰსჯული: ვერ შევირთავ მე ცოლად პაპისაგან ჩემისა აღყვანილსა სულიერს ასულსა, ამად ვითარმედ მამისა ჩემისა სული-ერი დაჲ არს იგი.

ვერ შევირთავ ცოლად ჩემგან აღყვანილსა შვილისა ასულსა და ვერცა ჩემგან აღყვანილი იგი შვილი შეირთავს ცოლსა ჩემსა, რამე-თუ სულიერი დედა არს მისი.

ბრძანებს მეფისა ლეონ ბრძნისა კანონი, ვითარმედ ვერვინ შემძლებელ არს, რათა მისცეს ასული თვისი ცოლად აღყვანილსა შვილსა თვისსა, ამად ვითარმედ არიან იგინი და-ძმანი სულიერნი.

ესე უწყოდეთ, რამეთუ, სხჳსათა შინა დროთა რომელთაცა ენე-ბოსთ აღყჳანებაჲ შვილად თვინიერ ლოცვისა და საღმთოსა ეკკლესი-ურისა განგებისა აღიყვანიან მხოლოდ სიტყვითა ოდენ

ხოლო აწ რომელთაცა ენებოსთ აღყჳანაჲ სულიერისა შვილისა, ჯერ-არს მათდა, რათა საღმრთოჲთა ლიტურღიითა და განგებათა და წმინდითა წერილითა აღიყვანიან და იქმნებიან აღმყვანებელნი ყრმისა მის ნამდვილ მშობელნი: ხოლო ყრმაჲცა იგი იქმნების ნამდვილ შვილ მათდა, და ესრეთ უკეთუ შვილი შვილისა მათ, ხორციელნიცა სულიერსა მას შვილსა ვერ მისცემენ მათ ცოლად ვიდრე მერვე თავამდე ნათესაობა: რამეთუ შვილად სახელდებულისა აღირაცხვის ვიდრე მერვე თავამდე ვითარცა ნათლის-ღებისა აღმავალთა მხოლოდ და შთამომავალთა, ხოლოდ გვერდ-დანმავალთა არა აქჳსთ ნათესაობა რაჲმე, რომელ არიან ძმანი და დანი და სხჳანი. აღყვანილი ჩემგან სულიერი შვილი და შვილი ძმისა ჩემისა მიეცემის ერთი ერთისა ცოლ ქმრად: უწყოდეთ უკუჱ ესეცა, რამეთუ მონაზონნიცა და ქალწულნიცა აღიყჳანებენ სულიერსა შვილსა, და ესენიცა იქმნებიან სულიერთა დედათა მათთა, გინა მამათა მათთა მემკვიდრენი თვინიერ ყოვლისა ცილობისა და მსჯავრისა ბრძანებისაებრ მეფისა ლეონ ბრძენისა".—

## ნათლის-ღებისა ნათესაობისათჳს:

წმინდა ნათლისღება არს შობა საღმრთოჲ და სულის განახლება, და რომელმანცა აღმოშვას ჩვილი წმინდისაგან ემბაზისა, იქმნების ჩჩვილისა მის აღმომქმელ და უფროსღა ნათესავი არს ხორციელისაგან მამისა მისისა, და შეუდგომელობითა ყოვლად წმინდისა სულისათა აღმომქმელი იგი მისი იქმნება ძმა აღმომქმელისა თჳსისა მის ხორციელისა მამისა:

და აღირაცხვიან ხორციელი იგი მამა და სულიერი მამა თავად ძმად, ვინათგან ძმა არს მისი, ხოლოდ ჩჩვილისათა აღირაცხების სულიერი მამა ჩჩვილისა ერთ თავად, და რაოდენიცა ჩვილნი აღმო-ექმჳას ანუ გვალად აღმოქჳას, იგინიცა ერთ თავად აღირაცხვიან მის თანა.

ხოლოდ აღმოქჳლისა მას ძმანი აღირაცხვიან მისთანა სამ-თავად, ვითარცა ძმის წულნი მისნი, ვინადგან ნათესავისა მამა იგი ძმა არს სულიერი მამისა მათისა და მომნათლავისა მის შვილნი მისთა ნათლულთა-თანა აღირაცხვიან ორ თავად. იხილე:

მე ვარ მამა შვილთა ჩემთა, რომელნი მე ვშვი ხორციელად და რომელიმე სულიერად წმინდისაგან ემბაზსა, და ჩემნი ესე სულიერნი შვილნი და ხორციელნი აღირაცხვიან ორ თავად.

სხჳანი იგი შვილნი ნათლის მამისა ჩემისანი, რომელი მე არს მომნათლავს აღირაცხების ხორციელად შობითა შვილთა ჩემთათანა მეოთხედ თავად, ვითარცა ორთა ძმათა შვილნი, რომელთაცა ეწოდების პირველი ბიძა-შვილი, და მისგან შთამოსრულნი აღირაცხვიან ვითარცა სისხლითისა ნათესაობისანი ვიდრე მერვე თავადმდე, და დაყენებულ-არს ქორწინება მათი, ვიდრე არა გარდახდეს მერვე თაობასა.

რამეთუ იტყვის ოცდა-მეათე სამეტყუელო კანონი მეექუსისა კრებისა, ვითარმედ უდიდეს-არს ნათლიაობითი ნათესაობა სისხლისა ნათესაობისაგან, და ვინადგან კანონისაგან და ჴსჯულისა ესრეთ გვებრძანების, მაშა-სადამე თანა-მდებ ვართ, რათამცა უფროსად წმიდად დავიმარხოთ და განვემკაცრნეთ და მერვე თავადმდე არა ჴყოთ შეერთებაჲ, და ოდესაც განსრულდეს თავი მერვე, განხსნილ იქმნების ესეცა, ვითარცა სისხლითი ნათესაობაჲ და შვილად სახელდებაჲ, რამეთუ ესეცა ერთსა პირსა ზედა აღირაცხვის აღმავალთა და შთამავალთა ოდენ, ხოლოდ გვერდ განმავალთათჳს არა აღირაცხვის და დაუბრკოლებელად შემოვლენ ქორწინებასა შინა.

მამისწული ჩემი ჩემგან აღმოქმულსა ნათლულსა ქალსა შეირთავს ცოლად, ეგრეთვე მეცა შევირთავ ცოლად ნათლის მამისა ჩემისა დასა.

ხოლო რომელმანცა შვილი თჳსი მონათლოს, თანა აქვს მას დატევება ცოლისა თჳსისა, ამად ვითარმედ დაჲ იქმნება მისდა აღმოშობითა შვილისა თჳსისათა, ესრეთ არღარა ჯერ-არს ცოლ-ქმრობა მათი.

ურმათათჳს რომელნიცა აღმოიქმენ წმიდისა ემბაზისაგან სვიმონ თესალონიკელი იტყვის: არიან ორნი ვინმე კაცნი, რომელ-

თაცა შორის არა არის ნათესაობა რაჲმე, უკეთუ შვილნი მათნი ერთმან და ამანვე კაცმან მონათლოს აღარა მიეცემიან იგინი ცოლ-ქმარად ერთი ერთსა, ესრეთ ვითარმედ შვილი ჩემი მონათლოს კაცმან ვინმე და შვილისა ჩემისა მომნათლავს კაცსა სხჳსაცა ვისამე მოვნათლავს შვილი: ვინაჲდგან ორნი ესე ერთისა კაცისა მონათლულ არიან, არღარა ერგების მათ ცოლ-ქმრობა, რამეთუ ერთისა სულიერისა მამისაგან აღმოშობილ არიან წმიდისა ემბაზისაგან.

ნათელ-ღებული შემკვიდრედ არა აღირაცხების, და ვერცაღა და-იმკვიდრების თჳსსა ემბაზისაგან აღმომშობლის სამკვიდრებელსა უკეთუ არა აღყვანილ იქმნას მისმიერ შვილად, არამედ თანაბად ოდენ აღირაცხვის ქორწინებისა, ვიდრემდის მერვესა არა გარდახდეს, და ვერ შემოვლენ ქორწინებად, და ესეცა მხოლოდ შთამომავალთა-თჳს და აღმავალთა.

(შემდგომი იქმნება.)

«ნეტარ-იყუნეთ ოდეს გდევნიდნენ და გყვედრიდნენ, რამეთუ თქუენი არს სასუფეველი ცათა».

ვიცით ყოველთა, რომელ სიყვარული სამშობლო ქვეყნისა არს ერთი ბუნებითთა თჳსებათაგანი თჳთოეულის კაცისა, თუმცა კი გა-მოსცხადდების იგი, რასაკვირველია, ყოველთაგან არა ერთის მხნეო-ბით, ძლიერებით და თავის განწირულებით. ყოველი კაცი, რომელ-საც კი ეყურება მცირედ მაინც თჳსი კაცობრივი ვალდებულება, ჰგრ-ძნობს ცხადათ თავის მნიშვნელობასა და აქუს ცოტაოდენი პატიოს-ნება, სამარადისოდ ჰგრძნობს სამშობლო მამულისადმი სიმპატიურს მიზიდულებასა, მზა არს ყოველთჳს იღუწიდეს მოუღალავად თავის ერთ-მემამულეთა და მოძმეთათჳს, არ დაჰზოგავს მათის ბედნიერე-

ბისა და კეთილ-დღეობისათჳს არა ვითარითამე შეძლებათა და ღონის-ძიებათა, და საჭირო დროს მზა არს განსწიროს მათთჳს თჳთ სი-ცოცხლეცა თჳსი. ქრისტიანი ერთგული და პატიოსანი შვილი მამულისა მზა არს მარადის იყვეს მახლობლად თჳსთა თანამემამულეთა და თჳსს ქუეყანაში თჳთ მცირედის სახლით და საშუალობით მათ მოიმედეთ, მნუგეშეთ და შემწედ ანუ თანამონაწილედ მათ მიერ დათმენილთა ვაე-ბათა და უბედურებათა. ამას გვიმტკიცებს ისტორია ყოველთა ხალხთა, ძველი და ახალი დრო კაცთა ნათესავისა და მრავალნი მაგალითნი საღმრთო წერილთაგან. „უმეტეს ინება ვნებად ერთა თანა ღმრთისათა," იტყჳს მოციქული პავლე მოსე წინასწარმეტყუელისათჳს, რომელმანცა დასთმო თანამოძმეთა თჳსთა სიყუარულისათჳს სახლი ფარაონისა, სადაცა იგი აღზრდილ-იყო ყოველ გვარის კმაყოფილებით, ვიდრე ქონებად დროებითის სიტკბოებისა ცოდვათა მიერ: უფროჲსღა გამოირჩია თანა ძვირის ხილვა ერისათანა ღმრთისასა, „ვიდრეღა რა აქუნდეს მას საწუთო იგი საშუებელი ცოდვისა:" (ებრ. 11, 25) და თჳთ იგი მოსე წინასწარმეტყუელი, აღსავსე უაღრესისა სიყუარულითა თჳსთა თანამოძმეთადმი, ოდესცა ვერ შეიძლო მოწყალე-ყოფად მათზედა განრისხებულის უფლისა, უკანასკნელის თავის განწირულებით და კადნიერებით ღმრთისადმი იტყოდა თავის ლოცვაში: „და აწცა უკეთუ მიუტევებ მათ ცოდვათა მათთა, მიუტევე, და უკეთუ არა, აღმხოცე მეცა წიგნისაგან შენისა, რომელსა შინაცა მოსწერე მე." (გამოს. 32, 32). სამშობლო ქუეყნის სიყუარულის მაგალითს აცხადებენ შვილნი აოხრებულის იერუსალიმისანიცა თავისს გულტკივნეულს გოდებაში მდინარეთა ზედა ბაბილოვნისათა ოდესცა იტყვიან: „ვითარმე ვგალობ-დეთ გალობასა უფლისასა ქუეყანასა უცხოსა: უკეთუ დაგივიწყო შენ იერუსალიმ, დაივიწყენ მარჯვენეცა ჩემი. აქვინ ენა ჩემი ხახა-სა ჩემსა, არათუ მოგიხსენო შენ. (ფსალ. 136, 4 და 6). ეგრეთვე განუსაზღვრებელს და თავ-განწირულს სიყვარულს თჳსთა თანა-მემა-მულეთადმი გამოაცხადებს მოციქულიცა პავლე, ოდესცა იტყჳს: „მწუ-ხარებას არს ჩემდა დიდ, და მოუკლებელ სალმობა გულისა ჩემისა;

რამეთუ ვილოცვიდ მე შეჩვენებულად ყოფად თავსა ჩემსა ქრისტესაგან ძმათა ჩემთათჳს, და ნათესავთა ჩემთა ხორციელად". (რომ. 9, 23).

მაგრამ იყვნენ და არიანცა იმისთანა პირნი, რომელთა შინა ესე ბუნებითი თჳსება,—სიყვარული მამულისა, არის დაშრეტილი და სრულებით დახშული. იგინი ცოცხლობენ და ჰსცხოვრებენ მხოლოდ თავიანთ საკუთართ კმაყოფილებათათჳს და სრულებით არა მამულისა და მოყვასთათჳს, და იმასცკი აღარ ფიქრობენ რას იტყვის ესე ვითართათჳს მოციქული პავლე: „უკეთუ ვინმე თჳსთა, და უფროისღა სახლეულთა არა მოღვაწე იყოს, სარწმუნოება უარ-უყოფიეს, და არს იგი ურწმუნოსა უძვირეს (1 ტიმოთ. 5, 8) იგინი მარადის ჰზრუნვენ თავისთის მხოლოდ სიმდიდრისა და შემატებისათჳს, და რომ თუ უმახლობელესნი მოყვასნიცა მათნი არიან მშიერნი და შიშველნი, მათთჳს სრულებით არაფერია. ამა საკუთარის თჳსთა კეთილთათჳს იგინი არა ჰზოგვენ მძლავრობასა, ფარისევლობასა, მოენობასა, ცბიერობასა და სხუათა ამგვართა, ისიცკი აღარ ახსოვთ, რომელ ქრისტიანეთა მოქმედებითა თჳსითა არიან გარდამავალნი თჳთ უპირველესის ღმრთის მცნებისა: „შეიყუარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თჳსი;—და ქრისტიანეთა სახითა, აფუძნებენრა მოყვასთა უბედურებაზედ თჳსთა ბედნიერებათა, მიიხწევიან წარწყმედისადმი, როგორათაც იტყვის მოციქული პავლე: „რომელთა ჰნებავს სიმდიდრე, შესცვივიან განსაცდელსა და საფრხესა, და გულის-თქმათა მრავალთა, უცნაურთა და მავნებელთა, რომელთა დაანთქიან კაცნი მოსასრველად და წარსაწყმედელად". (1 ტიმ. 6, 9). იგინი მოუღალავად იღუწიან მხოლოდ თავიანთის დიდებისა და პატივისათვის და ყოველთა ღონისძიებათა თჳსთა ხმარობენ წინააღმდეგ ყოვლისა კაცთ-მოყვარებისა და პატიოსნებისა მისთჳს, რომელ მათი მოყვასთაგანი არავინ იყოს სახელოვანი და საზოგადოებაში გამოჩენილი და მიღებული,—ერთის სიტყვით ბედნიერი, და მაშასადამე კითომც შემცილე მათი, და იმასცკი აღარ ფიქრობენ ესე სრულებით წინწაუხედავნი უფალნი, რომელ იგინიცა სხვათა შორის არიან მომაკუდავნი, ვითარცა ყოველნი კაცნი, რომელ

არავინ ჩუენგანი თავით თჳსით ცოცხალ არს; და გინათუ ცხოველ ვართ, უფლისად ცხოველ ვართ, და გინათუ მოვსწყდებით, უფლისა-მიერვე მოვსწყდებით, და რომელ ბრძანებანი მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესნი: „რომელმანცა აღიმაღლოს თავი თჳსი იგი დამდაბ-ლდეს,—ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი,—წინანი უკანა და უკანა-ნი წინაო, შეეხება იმათაც, და შესაძლოა კიდეც რასაკვირველია აღსრულებაჲ ამათი, ვითარცა ამტკიცებენ ამა ჭეშმარიტსა ბრძანებასა მაცხოვარისასა ურიცხვნი მაგალითნი დასაბამიდგან სოფლისა აქამომ-დე, და მარად ყავს წინაშე ჩუენსა აღსრულებულნი.

რა უნდა ვსთქუათ ესევითართა პირთათჳს ესრეთის მათის გულ-გრილობისათჳს მამულისა და მოყუასთა მეტადრე აწინდელსა დროსა და საუკუნეში, როდესაც ყოველი კაცი თითქმის მდიდარი და ღარიბი, წარჩინებული და უკანასკნელი, მოხუცებული და ჭაბუკი თანხმად ყოვ-ლად მოწყალის და მზრუნველის მთავრობისა ხმარობენ ყოველ გუარსა ზომიერებათა მამულისა და მოყვასთა წარმატებისა და კეთილდღეობი-სათჳს, ოდესცა იგინი უმეტეს სხუათა ვალდებულ არიან ამისა თანამ-დებობითა თჳსითა?—ოდესცა თჳთ მცენარენი გამოაცხადებენ სიყუა-რულსა მამულისასა მით, რომელ ისრეთი აღარ იზრდებიან და ყუა-ვიან უცხო ქვეყანაში, როგორათაც თჳსს მამულში; ეგრეთვე მფრინ-ველნი, რომელნიცა ჭიკჭიკითა და გალობათა შინა თჳსთა ხმამრად გამოაჩენენ განშორებასა სამშობლო ქუეყანისაგან, და თჳთ პირუტყუ-ნიცა გამოაჩენენ სიყუარულსა მამულისასა და მოყუასთა, ვითარცა იტყვის საღმრთო წერილი: „ყოველსა პირუტყუსა უყუარს მსგავსი თჳ-სი." (ზირაქ. 13, 19);—მაშ რაღა ეთქმისთ განსამართლებელად თჳსდა წინაშე ღმრთისა, სინიდისისა და კაცთა? ვგონებ არაფერი სრულებით. რას იტყვის მათზედ ამ გვარის უზრუნველობისათჳს სამშობლო ქუეყანაზედ მომავალი შთამომავლობა მათი? ვგონებ არას-ფერს კეთილსა, რა უნდა იყოს მიზეზი ესრეთის მათის წინწაუხედა-ობისა და უსინიდისობისა? ვგონებ მხოლოდ სიზარმაცე, მეშურნე-ობა, განუსაზღვრელი მიზიდულება მათი ამა ამაო ცრუ სოფლისადმი

შეუგონებლობა თავიანთის მიიმშვენელობის, და ერთის სიტყვით უმე-ცრება და უზრდელობა, ანუ ცრუ განათლება.

ქსრეთის საზოგადო კანონის ძალით შესახებ სამშობლო ქვეყანისა სიყვარულისა, შემდგომ საკმაო დროს უცხო ხალხსა და ქვეყანა-ში ყოფნისა, მოინდომა რასაკვირველია სასიხარულოდ თჳსთა და სასარგებლოდ და სასიამოვნოდ მოყჳსთა ერთმან მეგობარმან ჩვენ-მან.. და მიიქცა თავის სამშობლო ქჳეყანაში; მაგრამ, ოჰ ღმერთო ჩემო!—ნამდვილად საუბედუროთ. ნაცჳლად მოყჳსთა და თანამოძმეთა სიყვარულისა და ერთგულებისა მან მეგობარმან ჩვენმან მოიხმარა მტერობა, სიძულილი, ფარისევლობა და შურისძიება; ნაცვლად პატიოსნებისა და კეთილ-კაცობისა, სიბოროტე და მაცთურება; ნაცჳ-ლად ქრისტიანებრივის სიმშვიდისა, სიწყნარისა და თავმდაბლობისა, ზვაობა, გულ-ფიცხელობა, დიდებისმოყვარება და ამპარტავნება; და ნაცჳლად კაცთ-მოყვარებისა და თჳსთა და მოყჳსთ შეწყნარებისა, მათი ყოველ-გჳარი შეწირვება და დამონება. ჩვენ ამას ვიტყვით რა-საკვირველია არა საზოგადოდ ყოველთა, არამედ რომელთამე კერძო-ბითთა, და დიდათ სამწუხაროდ, საღმრთო პირთათჳს, ვინაიდგან თჳთ ხსენებული მეგობარიცა ჩვენი არს სამღრთო პირი, რომელნიც, მოკლეთ ვსთქჳათ, თითქმის აღემატების თავიანთის მძლავრობით, დიდებისა და პატივის მეძიებლობით და დესპოტიზმურის ქცევით და მოქმედებით რომთა პაპათა. იმათ ფიქრათ არ მოსდით მსწრაფლ წარმავლობა ამის სოფლისა, და არ ახსოვსთ ამაოება მისი; არ მოს-დით ფიქრათ, რომელ ქსრეთის უზომო ამა სოფლის სიყვა-რულითა არიან იგინი წინააღმდეგნი სჯულისა და მოძღჳრებისა მოციქულისა იოანესი, რომელიცა იტყვის: „ნუ გიყვარსთ სოფელი ესე, ნუცაღა რა არს სოფლისა ამის, უკეთუ ვისმე უყვარდეს სოფე-ლი, არს არა სიყვარული მამისა მისთანა, რამეთუ ყოველივე სო-ფელსა შინა ესე არს: გულისთქმა ხორცთა, და გულისთქმა თვალთა, და სილაღე ამის ცხოვრებისა“. (1იოან. 2, 15, 16); და აღარ ახსოვსთ სრულებით, რომელ თჳთ სამაგალითოდ დიდებულმან, მდიდარმან და

ბრძენმან მეფემ სოლომონ აღიარა სიცრუვე და მსწრაფლ წარმავლობა ამის სოფლისა და საქმეა: ამაო ამაოებისაო და ყოველივე ამაო არს. „ბრძანებანი მაცხოვრისანი საღმრთო განდიდებულებათათვის ყოველთა სასულიერო პირთა: „თქვენ ხართ მარილნი ქვეყანისანი; თქვენ ხართ ნათელნი სოფლისანი; ეგრეთ ბრწყინავდენ საქმენი თქვენნი კეთილნი წინაშე კაცთა და სხვათა,—და მოძღვრებაჲ მოციქულისა პავლესი, რომელ თვითეულნი მათგანი უნდა იყოს უბრალო, ნუ თავხედ, ნუ გულ-მწყრალ, ნუ მეღვინე, ნუ სამაგალის შემძინელ, არამედ ჭსტუმრის მოყვარე, კეთილის მოყვარე, წმიდა, მართალ, ღირს, მოთმინე და მობაძავ მისსა, ვითარცა იგი ქრისტესსა, და რომელ აღსრულებასა სჯულისასა და წინასწარ მეტყველთასა შეიცავს თჳს შორის სიყვარული ღუთისა და მოყვასთა, ვითომც მათ, ჩვენ მიერ ხსენებულთ პირთ, სრულებით არ შეეხება.

ცხადია, რომ თუ სხვამ არავინ, ჩვენ მიერ მოხსენებულნი პირნიცა უეჭველად იტყვიან: „კარგს კაცებთან ადარებს თავის მეგობარსაო." არა, ჩვენ ჩვენის მეგობრის, როგორათაც ხორციელის კაცის, სრულებით შენაკლულევანებას და უბრალოებას როგორ გავბედავთ და ვიტყვით, და ისიც ცხადათ უწყით, რომელ აღნიშნულთ ზემორე წმიდათ პირთადმი დასადარი არა იპოებარა მას შინა; მაგრამ ეს კი ჭეშმარიტია, რომელ თუკი სიბოროტემ და სიმშურნემ წმიდათ: ათანაზე ალექ. და იოვანე ოქროპირს, მშვიდს და წყნარს მეფეს და წინასწარ-მეტყველს დავითს, და თჳთ უდიდესს კეთილის მყოფელს კაცთა ნათესავისას მაცხოვარსა ჩვენსა ქრისტეს შესწამეს ცილი, და ესე ვითარნი უბრალონი და უმანკონი პირნი დასაჯნეს, ისი როგორღა გადურჩებოდა მათ მშვიდობით, უნდა ვსთქვათ ჭეშმარიტი, რომელ ბოროტ-ზრახულებაჲ მათი თითქმის ერთის მხრით აღესრულებოდა კიდეც და მათ მიერი გაბმულს მახეში უნდა უეჭველად შთავარდნილიყო იგი მეგობარი ჩვენი, რომელიც მათის ფიქრით და განძრახვით უნდა დასჯილ იყო ესრეთ უბრალო და მხოლოდ ხსენებულთ მიზეზთაგამო სამაგალითოდ, და გაუბედურებულ იყო საუკუნოდ, ვინაჲდგან უპირატესი პირი ამა

ხსენებული უფალთაგანი იყო ადგილობითი ნაჩალნიკი მისი, და მაშასადამე ძლიერი უძლურსა ზედან.... საქმემ მიახწია თჳთ უუმაღლეს მთავრობამდის; გარემოებანიც თითქმის ყოვლის მხრით შემწეობდნენ მათ; დასდგა ჟამისაქმის გარდაწყვეტისა და უნდა დაკარგულიყო უკანასკნელი წამა ჩვენის მეგობრის გაუბედურებისა. გარნა იგი მეგობარი ჩუჩხი, დატევებული თჳთ უუმახლობელესთ მოყუასთა და ნათესავთაგანაც, ჰსასოებდა მხოლოდ სიმართლესა-ზედა თჳსსა და მართლ-მსაჯულებასა მწყემსთ-მთავრისასა, ჰნუგეშებდა სახელითა ღუთისათა და, ქრისტიანებრივის მოთმინებით, ელოდა აღსრულებასა ნებისა უფლისასა. მაგრამ ტყუილად არ იტყვის საღმრთო წერილი: „უკეთუ ღმერთი მწე ჩემდა არს, ვინა არს ჩემდა ქირის მყოფელ; არა ვიხილე მართალი დაკრდობილ, და სხვანი.—

შემდგომ რაოდენსამე ხანს საიდუმლო მათის ლაპარაკისა, იგი მეგობარი ჩვენი სრულებით შეუტუქსველი და დაუსჯელი, დაწყნარებული და დამშვიდებული, და დიდათ დაიმედებული მართლ მსაჯულის და მოწყალე მწყემსთ-მთავრისაგან სრულებით კმაყოფილი მიიქცა თავის სამსახურის ადგილს, და შემდგომ მცირედის ჟამისა გარდაყვანილ იქმნა რაოდენისამე ოცის წილით უკეთესს და უუმაღლესს ადგილზედ, და ამ სახით განერა თავის მტერთა და მოშურნეთაგან.

ვსთხოვთ ყოვლად-მოწყალესა და კაცთ-მოყვარესა ღმერთსა, რომელ ესრეთი უშესაბამო თჳთ უკანასკნელი და გაუნათლებელი გლეხთადმიცა მტერობა და შურის-ძიება მოჰკვეთოს მან ხსენებულთ სამღრთო და სასულიერო პირთა შორის და შეაგონოს მათ აწ მყო საუკუნოს საჭირო და ფრიად სასარგებლო მოთხოვნილებანი ხალხთ კეთილდღეობისათჳს და კეთილ-წარმატებისა, რომელთა ზედაც ჩვენ-მიერ მოხსენებულნი პირნიც ვალდებულნი არიან რასაკვირველია იღუწიდენ ყოვლის ღონის ძიებით. ინებოს მხსნელმან და მაცხოვარმან ჩვენმან უფალმან, რომელ მარადჟამიერი მტერი კაცთა ნათესავისა ბოროტი სული და ყოველნი მობაძავნი მისნი—მტერობისა და შურისა

მეძაგებელნი კაცნი და მოყუასთათჳს მთხრებლის მთხრელნი, მარადის ესრეთ სირცხვილეულ იქმნებოდნენ. ინებოს ყოვლად-სახიერმან მეუფემან, რომელ ყოველთჳს და ყოველგან ესრეთ ფასდებოდნენ სიმართლე, უბრალოება, ნიჭიერება და გამოცდილება, და არა დესმოტიზმური უფლება ძლიერთა უძლურთადმი და ამისდა გვარნი მათმიერნი დევნულებანი‘ ინებოს ღმერთმან, რომელ ყოველმან შეჭირვებულმან ესრეთ უვნებლად განვლოს ხელთაგან გაჭირვებულისა, როგორათაც ხსენებულმან მეგობარმან ჩვენმან, და რომელ ყოველი მტერობა და შურის ძიება მარადის ესთეთ სირცხვილად და დასჯილ იქმნებოდნენ, ხოლო სიმართლე და მართლმსაჯულება გამარჯვებულ და დაჯილდოვებულ!..

მღუდელი სიმონ ბ....

---

რ ე დ ა კ ქ ც ი ს ა გ ა ნ.

წარსულს 5 ივლისს მივიღეთ ჩვენ ერთის მღუდლისაგან შემდგომი მწუხარების წიგნი:

„ნუღარ ვიტყვით მოწყალეო კალმწიფევ, რაიქმნება იქა, სადაც არ არის რიგი. კმარა ემთენი პირ-ფერობა, ჩუ̂ენი დამღუპი; მხოლოდ უთხრათ ერთმანეთს“ ძმა ძმისთვისა, ამ დღისთვისა.“ ვიცი გებრალებათ საწყალნი ბედათ-ტანჯულნი მღუდელნი, და აბა ეხლა გვიმმეა ეხლა დაგვიმტკიცე საგრძნობელი ძმური სიყვარული, დღეა გაჭირების,

წარსულის ფოშტით ამ საგანზედ გამოვგზავნე სტატია, რომელშიაც ჩემის სისხლის აღრევით დავკარგე გრძნობა, და ვერ გავარჩიე თუ რაზედ მელაპარაკნა, ან რა იყო ამისი მიზეზი. ამასაც ეხლავ მოვახსენებ, დამალული ემმაკისა-ს. როდესაც საგანმა ჩემის ლაპარაკისამ, პატიოსანმა მ.,.. მიიღო სკუფია, იმავ დღეს მოვიდა ჩემთან და უშვერის სიტყვებით დამიწყო ლანძღვა, თუ რათ არ ვიქმენ მეც მისი გვარის ჩინის ღირსი.—ამ უშვერმა სიტყვებმა ისე შემიქრთეს გული, რომ გრძნობა დამიკარგეს და დამრჩა მხოლოდ სახეში სიტყვები „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“—მაგრამ სიმართლის აღმოჩენა ვირჩიე.—თუ თქჳენ არ გვიძმობთ ამაში, ახლოა ჩვენზედ დროება, იქმნება იმას უფრო გული შესტკივდეს ჩემზედ. ახ ჩვენი ღუხჭირობა რომ შეიტყოთ ამ ბლ.... ხელში!,.. რა ვიცი გლეხნი განთავისუფლდნენ ახლის მშვენიერის კანონებით ბატონთ ხელიდგან, და ჩჳენ რაღა ღმერთი გაგვიწყრა, მაშ არ მოვიკითხოთ ჩჳენს თავს რა უბედურება-ა?—ეს ვითომ ვისი რა საწყინო უნდა იყოს...და სხ.“ ნამდვილ სამწუხაროა ესრეთი გარემოება, მაგრამ რედაქციამ რა ჰქნას, თჳნიერ საზოგადოდ გამოცხადებისა. არც არავის ჩვენგან სიმართლის თქმა მოსწონს მაგდენათ. ყველას უყვარს პატივი და პირ-მოთნეობა და ეძიებენ ამას ჩჳენგანაცა. ესრეთი არის ჯერ ჩჳენი სასულიერო წოდება, და შემდგომ რა იქმნება, ღმერთმან იცის.

რედ.

# სხუა და სხუა ამბავი.

ჱ-ს დეკემბრის მომავალის წლისას, ბრძანებითა და განკარგულებითა რომთა პაპის პ ი უ ს მეცხრისათა, იქმნება რომის ქალაქში მსოფლიო კრება განსახილველად სხუა და სხუათა საეკკლესიო საგნებთა. წმიდის პეტრე მოციქულის მოადგილეს სურს ყოვლითა სულითა და ყოვლითა გულითა თჳსითა მიიღონ აღმოსავლეთის ეკკლესიების მწყემსთ-მთავართაცა მონაწილეობა ამა კრებაში; სურს დაუტევონ ყოველთა ქრისტიანეთა შური და განხეთქილება და შეერთდნენ რომთა ეკკლესიისათანა, რომელსა შინა მხოლოდ შეიცვის, სიტყვისაებრ მისისა, წმიდა და შეურყეველი სარწმუნოება ქრისტესი და ცხოვრება საუკუნო; მისი უწმიდესობა სწუხს, ვაჲ თუ უზრუნველობითა მისითა წარწყმდნენ აღმოსავლეთის ქრისტიანენი და ამისთჳს სულსაცა მისსა ევნოს. ამაზედ იგი წარმოუგზავნის ყოველთა აღმოსავლეთის ეკკლესიების მწყემსთ-მთავართა ჩვეულებრივსა თჳსსა ეპისტოლესა, რომლითაცა იგი ურჩევს მათ და ფუცავს, რათა მიიღონ ნამდვილი მონაწილეობა ამა მსოფლიო კრებაში, მსგავსად ლიონის და ფლორენციის კრებათა და მით განახლდეს სჯული ძველისა სიყუარულისა, მშვიდობისა და ერთობისა.—ამ საგანზედ ერთი ანგლიის მწერალი ამბობს, „აღმოსავლეთის ეკკლესიის ქრისტიანეთ მიდრეკა რომთა ეკკლესიისადმი ძნელია და შეუძლებელიო.“

უწმიდესის სინოდის წარდგინებით ჴელმწიფე იმპერატორმა ინება დამტკიცება, 21 წარსულს აგვისტოს, ტფილისის სემინარიის რეკტორის არხიმანდრიტის ვ ი კ ტ ო რ ი ნ ე ს ა, ჩებოქსარის ეპისკოპოსად, ყაზანის ეპარხიის ვიკარად.

# ОФФИЦІАЛЬНЫЙ ОТДѢЛЪ.

## Инструкція

*временному комитету, учреждаемому по постройкѣ или исправленію, подрядомъ съ торговъ, зданій духовно-учебнаго вѣдомства, составленная по опредѣленію Святѣйшаго Сѵнода 29/30 апрѣля 1868 года.*

§ 1.

### СОСТАВЪ КОМИТЕТА.

Комитетъ составляютъ члены, назначаемые епархіальнымъ преосвященнымъ архіереемъ, изъ лицъ училищнаго вѣдомства и кромѣ того, по избранію духовенства, одинъ изъ мѣстныхъ протоіереевъ или священниковъ.

§ 2.

### ОБЯЗАННОСТИ ЕГО.

Обязанности комитета состоятъ единственно въ наблюденіи, чтобы постройка или исправленіе зданій производимы были во всемъ согласно утвержденнымъ проэкту, смѣтѣ и контракту безъ малѣйшихъ отступленій, чтобы матеріалы были хорошаго качества и работы производились въ удобное для каждой время, независимо отъ надзора, избраннаго для руководства за работами архитектора или другаго техника, какъ производителя работъ, на отвѣтственности котораго остается испол-

неніе по технической части; исключеніе для отступленія отъ плана и смѣты можетъ быть допущено только при производствѣ исправленій старыхъ зданій (но отнюдь не при возведеніи новыхъ построекъ) и то въ такомъ случаѣ, если при составленіи плана и смѣты новыя работы не могли быть предвидѣны, такъ напр. если, при разломкѣ части зданія, въ остальномъ строеніи отъ сотрясенія, или разрушенія связи, стѣны или другія части окажутся недостаточно прочными. Но и въ этихъ случаяхъ комитетъ наблюдаетъ, чтобы на такія работы была составлена смѣта и взята подписка отъ подрядчика о согласіи его принять работу за извѣстную сумму и чтобы на производство работъ было непремѣнно разрѣшеніе подлежащаго начальства, т. е. мѣстнаго епархіальнаго управленія, если по зависимости утвержденныхъ плана и смѣты отъ непредвидѣнной работы, производство послѣдней не можетъ быть пріостановлено до разрѣшенія центральнаго управленія духовнаго вѣдомства.

§ 3.

Производство торговъ и заключеніе контрактовъ съ подрядчиками и поставщиками на постройку или исправленіе зданій, а также пріемъ, храненіе и расходованіе суммы, ассигнуемой на этотъ предметъ, пріемъ, храненіе и освобожденіе зологовъ относятся къ обязанности правленій духовно-учебныхъ заведеній; но комитетъ имѣетъ право во всякое время разсматривать планы и смѣты и снабжается копіею съ контрактовъ.

§ 4

Матеріалы, поставляемые подрядчикомъ и производимыя имъ работы свидѣтельствуются комитетомъ во всякое время. Если по осмотру окажется, что по мнѣнію комитета работы производены или матеріалы поставлены не согласно съ планомъ, смѣтою и контрактомъ, то комитетъ приглашаетъ производителя работъ для объясненій и затѣмъ, если, по разсмотрѣніи всѣхъ данныхъ, придетъ къ заключенію, что вообще работы исполняются не надлежащимъ образомъ, заявляетъ о семъ подрядчику и архитектору и представляетъ въ то же время правленію духовно-учебнаго заведенія, наблюдая, чтобы забракованные матеріалы не были употреблены въ дѣло. Окончательное рѣшеніе въ

семъ случаѣ зависитъ отъ правленія духовно-учебнаго заведенія.

§ 5.

При выдачѣ архитекторомъ квитанціи подрядчику въ произведенныхъ работахъ и выставленныхъ матеріалахъ для полученія денегъ за работу, какъ о томъ будетъ установлено въ контрактѣ, комитетъ дѣлаетъ надпись на этой квитанціи, что работы дѣйствительно произведены хорошо и матеріалы хорошаго качества. Этотъ актъ служитъ правленію духовно-учебнаго заведенія основаніемъ для выдачи денегъ за работы и матеріалы и безъ такого удостовѣренія никакая выдача денегъ, за исключеніемъ задаточныхъ подъ залогъ, если о томъ условлено въ контрактѣ, не можетъ быть произведена.

§ 6.

По окончаніи постройки комитетъ свидѣтельствуетъ всѣ произведенныя работы и актъ о свидѣтельствѣ представляетъ въ правленіе духовно-учебныхъ заведеній вмѣстѣ съ журналами о своихъ дѣйствіяхъ.

## ВЫСОЧАЙШІЯ ПОВЕЛѢНІЯ.

*Относительно возобновленія пенсій священнослужителямъ епархіальнаго вѣдомства.*

По указу Его Императорскаго Величества святѣйшій правительствующій Синодъ слушали предложеніе господина исправляющаго должность синодальнаго оберъ-прокурора, отъ 12-го минувшаго апрѣля за № 4096, съ изъясненіемъ заключенія хозяйственнаго управленія по возбужденному департаментомъ государственнаго казначейства вопросу о томъ, могутъ ли быть возобновляемы духовнымъ лицамъ, на основаніи ст. 14 уст. пенс., пенсіи, прекращенныя, за поступленіемъ сихъ лицъ вновь на епархіальную службу, при увольненіи ихъ отъ вторичной службы, со дня таковаго увольненія. Приказали: Принимая въ сообра-

женіе, что, по ст. 1 и 21-й временныхъ правилъ о пенсіяхъ священнослужителямъ епархіальнаго вѣдомства и семействамъ ихъ, священнослужители, выходя въ отставку, получаютъ право на полученіе пенсій по соразмѣрности лѣтъ, проведенныхъ ими на службѣ, если только въ продолженіе вторичной службы они не потеряли права на пенсію, святѣйшій Синодъ, согласно съ заключеніемъ хозяйственнаго приономъ управленія, признаетъ необходимымъ, въ разъясненіе могущихъ быть по сему предмету недоразумѣній, сообщить по духовному вѣдомству циркулярнымъ указомъ, что въ порядкѣ возобновленія пенсій лицамъ, коимъ производившіяся пенсіи прекращены были по случаю поступленія ихъ снова на службу по епархіальному вѣдомству, слѣдуетъ руководствоваться тѣми же правилами, какія установлены для первоначальнаго назначенія пенсіи. Іюня 14 дня 1868 года.

*Объ измѣненіи § 7 устава общества возстановленія православнаго христіанства на Кавказѣ.*

Государь Императоръ, согласно представленію Его Императорскаго Высочества намѣстника кавказскаго, предсѣдателя общества возстановленія православнаго христіанства на Кавказѣ, и положенію кавкавскаго комитета, въ 16-й день іюня сего года, Высочайше соизволилъ повелѣть въ измѣненіе § 7 изданнаго 29-го января 1865 г. устава упомянутаго общества постановить слѣдующее:

1. Члены общества, сообразно объясненнымъ въ § 6 устава его наименованіямъ, обязываются платить ежегодно: перваго разряда (члены почетные) 500 р., втораго разряда (члены дѣйствительные) 250 р., третьяго разряда (члены сотрудники) 100 р.

2. Ежегодные членскіе платежи для означенныхъ въ предшедшемъ пунктѣ разрядовъ могутъ быть замѣнены единовременнымъ вносомъ капитала: для перваго разряда 5.000 р, втораго 2.500 р. и третьяго 1.000 р.

3. Внесшія единовременно капиталъ деньгами или процентными бумагами кредитныхъ учрежденій получаютъ пожизненное званіе члена общества.

4. Члены четвертаго разряда (члены ревнители) вмѣсто ежегодныхъ платежей обязываются внести единовременно капиталъ въ 100 руб., съ тѣмъ же правомъ получать пожизненное званіе члена.

*Примѣчаніе.* Лицамъ, состоящимъ нынѣ въ званіи членовъ 4-го разряда, предоставляется подчиниться этому облегчительному правилу, или же вносить установленный членскій платежъ въ прежнемъ размѣрѣ и на прежнихъ основаніяхъ.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ. 3-го Октября 1868 г. Ценсоръ [illegible] Сулхановъ.

Редакторъ-издатель священникъ Георгій Хелидзе.

Къ 7 № Груз. Д. В. 1868.